ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

05 ოქტომბერი 2026

N 04-03/73934

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ:

- 2027 წელს პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 20% შეადგენს 2 420 000.0 ათას ლარს, საიდანაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2027 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0.52%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტრაციოდ შეადგენს 12 558.6 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით.
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2027 წელს ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 2 600.0 ათასი ლარი და შესაბამისად, სულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის 2027 წელს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 15 158.6 ათას ლარს.

ამასთან, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საშუალოვადიანი პროგნოზებისა და საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინებით გიგზავნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2028-2030 წლებში მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის პროგნოზს:

- ✓ 2028 წელი 13 499.8 ათასი ლარი;
- ✓ 2029 წელი 13 505.2 ათასი ლარი;
- ✓ 2030 წელი 14 400.7 ათასი ლარი;

ასევე გაცნობებთ, რომ დელეგირებული უფლებამოსილებებისათვის საჭირო მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფა განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჭიროების შესაბამისად, „საქართველოს 2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-17 მუხლით მუნიციპალიტეტებისათვის გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერიდან, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე.

გიორგი კაკაურიძე

მინისტრის პირველი მოადგილე

https://edoc.mof.ge/public/#/73934-04-03-2-202610051538